პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (7440)

6 ივლისი, ოთხშაბათი 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комктета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი გ. ჩოჩიშვილი ტელეფონით გვატყობინებს:

## ქართული სპორტის ყველა ქომაგს

# ერთად ვეძებოთ ტალანტები!

**ეს წერილი** შენთვის იწერება, ქართული სპორტის ერთგულო ქომაგო და დამფასებელო, რამეთუ შენი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე, ჩვენი სპორტული მოძრაობის აღორძინებაში შენი აქტიური მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი.

არაერთი სახელოვანი გამარჯვების მოწმე და მონაწილე ყოფილხარ: შენ ამხნევებდი ტაშითა და შეძახილებით ნინო დუმბაძესა და გივი კარტოზიას, რობერტ შავლაყაძესა და დავით ციმაკურიძეს, ვიქტორ სანეევსა და ალექსანდრე მეტრეველს, ლევან თედიაშვილს... სხვებსა და სხვებს — მათ გამარჯვებას საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევდი; ქართული სპორტის, ქართული ფეხბურთის სიყვარულმა არ დაგაძინა 13 მაისის იმ ბედნიერ ღამეს.

შენ სიხარულის განაწილებაც იცი და გაჭირვების ჟამს მხარში ამოდგომაც. მომთხოვნიც ხარ და, რა მტკიცება უნდა, ქართველ სპორტსმენთა ბოლოდროინდელი შედეგებით კმაყოფილი ვერ იქნები. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი, დიდი საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებები... პოზიციები საგრძნობლად დავთმეთ და ამას, ცხადია, ვერ შეეგუები. უკვე გვესმის შენი გამაფრთხილებელი ხმა — პირდაპირი და სამართლიანი. დარწმუნებული იყავი, რომ ამ ხმას გულდასმით უგდებს ყურს საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა, ჩვენი რედაქცია, სადაც უწყვეტ ნაკადად მოდის შენი და შენსავით შეფიქრიანებულთა წერილები. ამ წერილებში გულისტკივილთან ერთად, მწარე, ხორკლიან სიტყვასაც გაურევ ხოლმე, მაგრამ მაინც ოპტიმისტად რჩები. ქართული სპორტის მომავლისა გჯერა და იმიტომ, რწმენა კი, მოგეხსენება, შეუძლებელს შეაძლებინებს კაცს.

ამ დღეებში სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება მიმდინარეობს და სწორედ ახლა გადავწყვიტეთ გაგესაუბროთ და მოგეთათბიროთ. შენი მხარდაჭერისა და თანადგომის ღრმა რწმენით ვაკეთებთ ამას; იმიტომაც, რომ ამ თანადგომისა თუ თანამეგობრობის გარეშე ქართული სპორტის ხვალინდელი დღე მყარ საფუძველზე დამკვიდრებული ვერ იქნება.

**ახლა კი პირდაპირ გეტყვით სათქმელს: ნაღდი სპორტული ტალანტების, ნიჭიერი, პერსპექტიული გოგო-ბიჭების გამოვლენა-წარმოჩენაში უნდა დაგვეხმარო, ქართული სპორტის ერთგულო ქომაგო.** თავადაც კარგად იცი, რომ საქართველოში ტალანტები არასოდეს დაილევა, მაგრამ, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, რესპუბლიკის სპორტის მუშაკებს, მწვრთნელებსა და სპეციალისტებს ყველგან არ მიუწვდებათ ხელი და არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა — პოტენციური ჩემპიონი და რეკორდსმენი — ყურადღების მიღმა გვრჩება. არადა, სრულფასოვანი რეზერვის ნაკლებობას ასე მტკივნეულად განიცდის ჩვენი სპორტი. იქნებ შენს გვერდით — ახლობლებში, ნაცნობებში, მეზობლებში მომავალ დიდ სპორტსმენს ხედავ, კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე მოზარდს, რომელიც მზრუნველ ხელს ელის. იქნებ გინდოდა კიდეც მოგეწერა მათ შესახებ, მაგრამ თავს იკავებდი.

სპორტის ჭეშმარიტმა გულშემატკივრებმა კარგად იციან სახელოვან სპორტსმენთა ბიოგრაფიის ცალკეული მომენტები. რამდენი შემთხვევა ყოფილა, ახლობელს, მეზობელს თუ უბრალოდ, ნაცნობს სპორტულ სექციაში მიუყვანია პირტიტველა ყმაწვილი, რომელიც შემდეგ მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარა, საქვეყნოდ უსახელებია თავი. **ჩვენ კვლავ ველით თქვენს ინიციატივას, მეტ აქტიურობას — მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, შეგვატყობინეთ, ან თუნდაც თბილისში ჩამოიყვანეთ კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდები — მომავალი მძლეოსნები, მოჭიდავეები, კალათბურთელები... მოზარდები სპორტის ნებისმიერი სახეობისთვის. დარწმუნებული იყავით, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა დიდი გულისყურით მოეკიდება თქვენს ყოველ წინადადებას, მზრუნველობას არ მოაკლებს არც ერთ პერსპექტიულ ახალგაზრდას და ყველა პირობას შეუქმნის მათ სპორტში ნაყოფიერი მეცადინეობისა და სწავლისათვის. სათანადოდ დაფასდება თითოეული თქვენთაგანის პირადი წვლილიც.**

სპორტის ქომაგო! შენ სიხარულის განაწილებაც იცი და ძნელბედობის ჟამს მხარში ამოდგომაც. კიდევ ერთხელ დაამტკიცე ეს. ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება ქართულ სპორტს შენი სიტყვა, შენი აზრი და თანადგომა. **მოდით, ერთად ვეძიოთ ახალი ტალანტები — ქართული სპორტის ხვალინდელი დღე და მომავალი!**

ჩვენი მისამართებია: თბილისი, ლესელიძის 36, საქართველოს სპორტკომიტეტი; თბილისი, ლენინის 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია.

# „ვერცხლი" პირველად

**4 ივლისს** საღამოს მოსკოვის პროფკავშირთა საცხენოსნო სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ყურადღების ცენტრში საქართველოს წარმომადგენლები მოექცნენ — მილოცვებს იღებდნენ ჩვენი სპორტსმენები, მწვრთნელები, გუნდის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები, რომლებიც საგანგებოდ საკავშირო სპარტაკიადაზე სპორტსმენებისათვის მხარის დასაჭერად ჩამოვიდნენ. ჩვენს „ბანაკში" ნამდვილი ზეიმი იყო, რომელიც ქართველ ცხენოსან სამჭიდელთა კარგმა გამოსვლამ განაპირობა. მათ თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მართალია, „ოქრო" რსფსრ-ს გუნდის ნადავლი გახდა, მაგრამ ამ უკანასკნელთ მნიშვნელოვანი ასპარეზობების დიდი გამოცდილება და მდიდარი ტრადიციები აქვთ, მის რიგებში ასპარეზობდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ი. სალნიკოვი და სხვა ცნობილი მხედრები, ხოლო ჩვენი გუნდისთვის ეს საკავშირო სპარტაკიადების ისტორიაში საცხენოსნო სპორტის გუნდურ ჩათვლაში მიღებული პირველი მედლები გახლდათ. წარმატება უფრო სასიხარულოა იმის გათვალისწინებით, რომ გასულ, VII სპარტაკიადაზე ჩვენი სამჭიდელები საერთოდ ჩათვლის გარეშე დარჩნენ. ასპარეზობის უკანასკნელი სახეობის — დაბრკოლებათა გადალახვის წინ ჩვენი გუნდი მოლდავეთის ნაკრებს 44,8 ქულით უსწრებდა. ცხადი იყო, რომ მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევას შეეძლო ხელი შეეშალა საქართველოს მხედრებისთვის ვერცხლის მედლების მოპოვებაში. სწორედ ამ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ჩვენმა მწვრთნელებმა სპორტსმენებს მითითება მისცეს, რომ ფრთხილად ეასპარეზათ. ეს უკანასკნელნი ამ დღესაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და ამოცანა პირნათლად შეასრულეს. მართალია, მოლდავეთის ნაკრებმა, რომელსაც ბრინჯაოს მედლები თითქმის გარანტირებული ჰქონდა (IV ადგილზე მყოფი ყირგიზეთის გუნდი საგრძნობლად ჩამორჩა) და აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი, ოდნავ შეამცირა სხვაობა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, და **ჩვენმა ოთხეულმა ო. ჯაფარიძის („რეიტორი"), ვ. ტუაევის („ანდია"), ო. ნარმანიას („ინიციატორი") და ა. ხამველიანის („ხაბური") შემადგენლობით (ყველა — „კოლმეურნე") დამსახურებულად მოიპოვა VIII საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედლები.** მათთან ერთად ზეიმობდნენ ისინიც, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში — ოჩამჩირის საცხენოსნო კლუბი, თბილისის უმაღლესი დაოსტატების № 2 სკოლა, მთავარი მწვრთნელი ცხენოსნობაში რ. მანჯავიძე, ნაკრების უფროსი მწვრთნელი კ. გაშიბაიაზოვი, მწვრთნელები ლ. კაპბა, კ. ხარებოვი, ი. კლიმენკო და სხვ. იქნებ ცხენოსანთა ეს წარმატება შემობრუნების წერტილი გახდეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისათვის, რომლებიც ამ სპარტაკიადაზე ჯერჯერობით არასახარბიელოდ ასპარეზობენ.

**გუშინ** სპარტაკიადაზე დამთავრდა ცხენოსანთა ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ხ. ხიმონიამ (ცხენით „კასპია") მეხამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

## ექვსეულები გამოვლინდნენ

**ლვოვში** მაგიდის ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირზე ჩვენმა ვაჟთა გუნდმა (იგი, როგორც ცნობილია, IX-XII ადგილისათვის იბრძვის) სძლია ლენინგრადის გუნდს — 5:3, მაგრამ გუშინ ასეთივე ანგარიშით წააგო ტაჯიკეთთან და მე-12 ადგილზე გავიდა.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა (თამაშობს XIII-XVI ადგილისათვის) წააგო მოლდავეთის გუნდთან — 2:5. მას უკანასკნელი, მე-16 შედეგი აქვს.

უკვე გამოვლინდა პირველი ექვსეულები ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის. ვაჟებში იგი ასე გამოიყურება: რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, მოსკოვი, ესტონეთი. ქალთა გუნდებში ადგილები ასე განაწილდა: სომხეთი, მოსკოვი, უკრაინა, ლიტვა, რსფსრ, ყაზახეთი.

ერთი დღის შესვენების შემდეგ დაიწყება პირადი ტურნირი.

## ხუთჭიდელებმა სტარტი აიღეს

**გუშინ** მოსკოვის სტადიონ „ოქტიაბრის" დარბაზში დილიდანვე გაისმოდა დაშნის ჟღარუნი. აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის კიდევ ერთმა სახეობამ — თანამედროვე ხუთჭიდმა, რომელიც მოფარიკავეთა ტურნირით დაიწყო.

ცხრავე ბილიკზე მწვავე ბრძოლები გაჩაღდა 14 რესპუბლიკასა და აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებს შორის.

ამჯერად სპარტაკიადის პროგრამაში პირველადაა შეტანილი თანამედროვე ხუთჭიდელთა გუნდური პირველობა. თითოეული კოლექტივის ღირსებას 4 სპორტსმენი იცავს. პირად ტურნირში კი, რომელიც ახლა დაიწყო, თითოეული გუნდიდან 3-3 სპორტსმენი მონაწილეობს. ამას გარდა სსრ კავშირის თანამედროვე ხუთჭიდელთა ფედერაციის გადაწყვეტილებით პირად პირველობაში დაშვებული არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც ფავორიტთა გუნდების სამეულებში ვერ მოხვდნენ. ამჯერად სარბიელზე გამოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც სავსებით შესწევს ძალა მხარდამხარ იბრძოლოს ცნობილ ოსტატებთან, როგორებიცაა ა. სტაროსტინი, ე. ლიპეევი და სხვა. ეს პირველ რიგში უფელ ე. ზინკოვსკიზე და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ი. შვარცსა და სხვა ხუთჭიდელებზე ითქმის. სპარტაკიადის ტურნირი ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის წინ უკანასკნელი გამოცდა იქნება ჩვენი სპორტსმენებისათვის.

პირადი ტურნირი 8 ივლისამდე გასტანს.

# რეკორდებით...

**კანადის** ქალაქ ედმონტონში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადის მოცურავეთა გამოსვლებში კიდევ ერთი რეკორდი განახლდა. 20 წლის ტაშკენტელმა სტუდენტმა ს. ზაბოლოტნოვმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.00,42 დრო აჩვენა და უნივერსიადის ჩემპიონობასთან ერთად ევროპის რეკორდსმენის სახელსაც დაეუფლა.

400 მეტრზე ქალთა თავისუფალი სტილით ცურვაში კვლავ ისახალა თავი გროდნოელმა ირინე ლარიჩევამ, რომელმაც გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიადის სარეკორდო შედეგით — 4.13,41. ამგვარად, ირინემ სტუდენტთა თამაშებზე უკვე 4 ოქროს მედალი მოიპოვა, მეოთხე მას გადაეცა ესტაფეტაში გამარჯვებისათვის.

„უნივერსიადა-83"-ის ბრძოლაში ჩაებნენ ველოსიპედისტებიც. ქალთა კილომეტრიან გიტში ტალინელმა სტუდენტმა ე. სალუმიაემ მსოფლიო რეკორდს „გაუსწრო" — 1.14,55. ველორბოლის ვაჟთა ამ სახეობაში კი ჟველას აჯობა ტაშკენტელმა ა. პანფილოვმა.

ფრიადებზე აბარებს „სტუდენტურ სესიებს" მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი 20 წლის ვლადიმირელი ტანმოვარჯიშე ი. კოროლიოვი, რომელმაც ლარიჩევას მსგავსად 4 ოქროს მედალი მოიპოვა. იურიმ გაიმარჯვა პირად და გუნდურ პირველობებში და ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში. ტაიჭზე კი გაიყო „ოქრო" ვოლგოგრადელ ა. პოგორელოვთან ერთად.

# ავი დედინაცვლის ხელში

## ფიქრები საქართველოს მძლეოსანთა სასპარტაკიადო ასპარეზობათა შემდეგ

ბაში მიზანი ერთია —გამარჯვება. მეტოქეზე შორს უნდა გადახტე, უნდა წააქციო, იმაზე მეტი უნდა ასწიო, უნდა გაასწრო, ერთი სიტყვით, უფრო მოხერხებული,

თარება, დინჯად შეუდგეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, განსაზღვროს რა დრო და რა საშუალებები იქნება საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებ-

ერთი სპორტსმენის — ციკლიოვის ანაბარა. მინდა ვკითხო ჩვენს სპეციალისტებს, ყოფილა კი საერთოდ თბილისში ის სპორტსმენი ქალი, მარათონელთა შეკრებაში

დადგენას.

ფაქტიურად, ამ და სხვა, მეცნიერულად დასაბუთებულ-დაზუსტებული მეთოდების უცოდინრობის გამოა, რომ რესპუბლიკაში

---

# უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის კალენდარული მატჩები.

თბილისის დინამოელები ხარკოვში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალისტს“.

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:3.

ქუთაისის ტორპედოელებმა შინ მიიღეს ერევნის „არარატი“.

თამაშის შედეგია ფრე — 0:0.

სხვა შეხვედრები:

„დინამო“ კ. — „ნეფთჩი“ 0:0

„დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ 3:2

„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 2:0

„დნეპრი“ — „ნისტრუ“ 6:0

„ტორპედო“ მ. — „ზენიტი“ 0:2

„ჟალგირისი“ — „დინამო“ მ. 1:0

# II ლიგა

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილ ტურში ტყიბულის „მეშახტემ“ თავის მინდორზე მიიღო ზონის ერთპიროვნული ლიდერი აშხაბადის „კოლხოზჩი“. ტყიბულელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

---

„ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე

# „სიხარული“, „აისი“, „ამირანი“, „განახლება“...





ერთმანეთს. თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თბილისელთა უპირატესობით, შესვენების შემდეგ კი უპირატესობა ხელთ იგდეს რუსთაველებმა. იყო ასეთი დრამატული მომენტებიც: ჯერ „სიხარულის“ მარცხენა გარემარბმა ვაჟა იკაშვილმა მოახვედრა ბურთი ძელს, შემდეგ კი იგივე გაიმეორა „აისის“ ცენტრალურმა მცველმა ზურაბ არჩვაძემ.

მატჩის დრო ამოიწურა, წარმატებას კი ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა 5-5 პენალტი. იკაშვილის, ობოლაძის, დოლიძისა და ნემსაძის 4 გოლს რუსთაველებმა მხოლოდ სამით უპასუხეს და „ტყავის ბურთის“ 1983 წლის რესპუბლიკური პრიზი უმცროსი ასაკის ბავშვებში მოიპოვა თბილისის „სიხარულმა“. მომდევნო ადგილებზე არიან „აისი“ (რუსთავი), „ამირანი“ (ოჩამჩირე),

საუკეთესო ნახევარმცველისა— გია ნემსაძეს („სიხარული“).

საუკეთესო თავდამსხმელისა — ისმაილ ბუიუკ-ოღლის („ამირანი“).

ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დააჯილდოვეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ასპარეზობის შემდეგ ვესაუბრეთ გამარჯვებული გუნდის — „სიხარულის“ რამდენიმე ფეხბურთელს. აი, რა გვითხრეს მათ:

**გია ნემსაძე** (ნახევარმცველი): მამაჩემი, ვაჟა ნემსაძე, ფეხბურთს თამაშობდა რუსთავის „მეტალურგში“ და თბილისის „სინათლეში“, ალბათ, ამიტომ მეც დამყვა ფეხბურთის სიყვარული. ვიცი, რომ ჩემს მწვრთნელთან, საკავშირო კატეგორიის არბიტრ გურამ გვანცელაძესთან ერთად დიდი შრომა მომიწევს. განვლილი ტურნირით კმაყოფილი ვარ, აქ ბევრი ახალი

გაგვიძნელდა თამაში, „აისი“ ღირსეული მეტოქე იყო. განსაკუთრებით მომეწონა რუსთაველთა ცენტრალური მცველი ზურაბ არჩვაძე. ჩვენი ბიჭებიდან მადლობის ღირსია მეკარე დათო ცომაია, რომელმაც თავი გამოიჩინა პენალტის აღებისას.

„ტყავის ბურთის“ უმცროსი ასაკის ბავშვთა საკავშირო ფინალური შეჯიბრება 11 აგვისტოდან გაიმართება ქ. ხერსონში. წარმატება ვუსურვოთ „სიხარულს“ მის ამ პირველ დიდ შეჯიბრებაში.

**გ. დოლენჯაშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •





---

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მალტელები დაისაჯნენ

იმის გამო, რომ მალტელი მაყურებლები მალტისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (2:3) ძალზე გამომწვევად იქცეოდნენ, უეფამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მალტის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მომდევნო

## ფეხბურთელმა ფეხბურთელს უჩივლა

შოტლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატში მოხდა ამბავი, რომლის მსგავსი ფეხბურთის ისტორიამ არ იცის:

„სენ-ჯონსის“ მცველმა პელოსიმ უმძიმესი ტრავმა მიაყენა „დამფერლაინ ატლეტიკის“ თავდამსხმელს ბრაუნს. დაზარალებული იძულებული იყო სასამართლოსათვის მიემართა.

სასამართლომ პელოსის 30 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუსაჯა.

საკითხი და გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამჟამად არსებულ დებულებაში.

ფიფა-ს რეფერის წოდება მიენიჭება მსაჯს, რომელსაც ორჯერ შეიყვანენ ფიფა-ს საერთაშორისო არბიტრთა სიაში და 2 საერთაშორისო მატჩს იმსაჯებს შემდეგ შეჯიბრებებში: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი და ფინალური შეხვედრები, ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი და ფინალური თამაშები, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი და ფინალური თამაშები, სხვადასხვა კონტინენტის კონფედერაციათა თაოსნობით გამართული ჩემპიონატებისა და

და, შესაძლოა, ამჟამად არა აქვთ შესრულებული ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები, მაინც რჩებიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებად.

## „სანდერლენდი“ აღარ არსებობს

ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს საპორტო ქალაქ სანდერლენდში 104 წლის წინ შეიქმნა ამავე სახელწოდების პროფესიული საფეხბურთო კლუბი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა დიდ ბრიტანეთში. იგი ოთხჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი, ორ-



ზაფხულია, ცხელა, ცხელა...

ხ. ვართანესოვის ფოტოები.

● ხელბურთი

# ნინ ფინალისა

**თბილისის** განათლების სამმართველოს გლდანის სპორტულ კომპლექსში გაიმართა საბჭოთა კავშირის ზონალური პირველობა ხელბურთში 1969-70 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის „მფრინავი ბურთის“ პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უკრაინის, რსფსრ-ს, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გუნდები. თამაშები მიმდინარეობდა ოთხ ტაიმად. პირველ და მესამე ნახევარს (15-15 წუთი) თამაშობდნენ 1970 წელს დაბადებულნი, მეორე და მეოთხე ნახევარს — 1969 წელს დაბადებულნი.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა. მათ შეძლეს გამარჯვება და ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ფინალის ჩატარება ნავარაუდევია 25-30 ივლისს თბილისში.

თბილისის ჭაბუკთა გუნდმა (მწვრთნელი რ. ჭანტურია) მარცხით დაიწყო თამაშები (წააგო უკრაინის გუნდთან — 27:28), მაგრამ შემდეგ წარმატებით ჩაატარა ყველა შეხვედრა (რსფსრ-სთან — 30:27, აზერბაიჯანთან — 34:20, ლიტვასთან — 40:35, სომხეთთან — 36:21).

ჩვენმა გოგონებმა (მწვრთნელი ლ. სოლომახინა) წააგეს ერთი მატჩი აზერბაიჯანელებთან —17:20, დანარჩენებში კი გაიმარჯვეს (უკრაინასთან — 26:25, ლიტვასთან — 25:14, რსფსრ-თან — 21:16, სომხეთთან — 22:18).

ტურნირში დახვეწილი თამაშით გამოირჩეოდნენ გ. თაყაიშვილი, გ. გაბარაევი, კ. გოგრიჭიანი, ბ. ბერიძე, ზ. გაბრიჩიძე, გ. ვახტანგიშვილი, გ. ფიტვიაშვილი (ჭაბუკთაგან) და მ. მაჭავარიანი, ლ. ორლოვა (გოგონებიდან), აღსანიშნავია ასპარეზობის კარგი ორგანიზაცია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი — სპორტის საპატიო ოსტატი ჯ. ცერცვაძე) კოლექტივს.

ო. ომიაძე

● ველოსპორტი

# ოლიმპიურ ტრეკზე

**ლოს-ანჯელესის** ტრეკ „კარსონზე“, სადაც გაისად სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა ცხარე ბრძოლები გაიმართება „ოლიმპიადა-84“-ის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის, ჩატარდა ოლიმპიურისწინა საერთაშორისო შეჯიბრება ლოს-ანჯელესის დიდ პრიზზე. წარმატებით იასპარეზეს გდრ-ის სპორტსმენებმა და 4-დან 3 სახეობაში გაიმარჯვეს.

სპრინტერულ რბოლაში ყველას აჯობა ოლიმპიადა-80-ის გამარჯვებულმა ლ. ჰესლიკმა, რომელმაც ბოლო 200 მეტრი ტრეკის ახალი რეკორდით (10,79) გაიარა. მეორე ადგილი წილად ხვდა ამერიკელ მ. გორსკის. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ტულელი ს. კოპილოვი მეოთხე იყო.

4 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში გაიმარჯვა ლ. ჰაუესენმა — 4.48,26, III-IV ადგილები მინსკელ ვ. მოვჩანსა და ოდესელ ი. ლუპოლენკოს ერგოთ. 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში გდრ-ის კიდევ ერთმა ველოსიპედისტმა — მ. გერნიკმა ისახელა თავი (41. 35, 05).

1 000 მეტრზე ადგილიდან გიტში კი ყველა მეტოქე ჩამოიტოვა მაპინძელმა ველოსიპედისტმა რ. ო'რეილმა — 1.08,88.

● რაგბი

# უძლიერესთა მონაწილეობით

**მოსკოვში** დაიწყო რაგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ორწრიანი ტურნირი, რომელიც ოქტომბრამდე გაგრძელდება. მონაწილეობს 8 უძლიერესი გუნდი. პირველობის ლიდერი მოსკოვის „ლოკომოტივი“ ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან თბილისელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში უკვე მეორე წუთზე აგებდა — 0:6, მაგრამ შესვენების დროისთვის მოსკოველებმა შესძლეს დაწინაურება — 7:6. ამის მიუხედავად, თბილისელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და შეეცადნენ ბრძოლის მსვლელობა შეეცვალათ, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა საჯარიმო დარტყმამ, რომელიც ზუსტად შეასრულა მოსკოველმა მცველმა ბუგროვმა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 13:9. დაძაბულად მიმდინარეობდა შეხვედრა მონინოში ი. გაგარინის სახელობის სამხედრო საჰაერო აკადემიის გუნდსა და კიევის „ავიატორს“ შორის — 9:9 (6:9) — ასეთია ამ მატჩის შედეგი. „ფილისა“ და ქუთაისის „სახლმშენის“ გუნდების ორთაბრძოლაში ქუთაისელები დამარცხდნენ — 12:19. ახლა ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის „ლოკომოტივს“ 33 ქულა აქვს, „ფილის“ — 31. სამხედრო საჰაერო აკადემიის გუნდს, „სლავასა“ და „ავიატორს“ — 29-29.

● შაში

# სამი ლიდერი

ამსტერდამში მიმდინარე ასუჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურში მხოლოდ ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ხ. ვირსმამ გაიმარჯვა (დაამარცხა თანამემამულე ი. ვან დერ ვალი). დანარჩენ პარტიებში ყაიმი აღინიშნა. ასე დამთავრდა მინსკელ ა. განტვარგის და დ. კუასის (სპილოს ძვლის ნაპირი), საბჭოთა მოშაშეების ხარკოველ ვ. ვირნისა და არხანგელსკელ ა. ბალიაკინის, აგრეთვე ვ. კაპლანისა (აშშ) და რ. კლერკის (ჰოლანდია) შეხვედრები. ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს. ესენია ვირნი, ვირსმა და კლერკი, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ. მოგაგონებთ, რომ მოგებისთვის მონაწილეს ორი ქულა ეწერება.

● ჩოგბურთი

# ფინიში უიმბლდონზე

**24 წლის** ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯ. მაკინრომ მეორედ მოიპოვა უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულის სახელი. ასეთ წარმატებას მან ჯერ 1981 წელს მიაღწია, როცა ფინალში საქვეყნოდ ცნობილ შვედ ბორგს სძლია. ამერიკელმა კვლავ დაამტკიცა, რომ სწრაფ ბალახიან კორტებზე მას ბადალი არა ჰყავს — ბოლო 4 წლის განმავლობაში იგი უიმბლდონის ტურნირის ფინალის მუდმივი მონაწილეა.

ამჯერად გადამწყვეტ ბრძოლაში მაკინროის დიდად არ გასჭირვებია ახალზელანდიელ რ. ლუისის დამარცხება.— 6:2, 6:2, 6:2. ახალზელანდიელის მეორე ადგილიც „უიმბლდონ-83“-ის დიდი მოულოდნელობა გახლავთ. ამ სპორტსმენს ხომ არავინ თვლიდა ფავორიტად, ვინაიდან მსოფლიო კლასიფიკაციის ცხრილში მხოლოდ 91-ე ადგილზეა.

სპეციალისტების აზრით, ნამდვილი ფინალი მაკინროი-ლენდლის ნახევარფინალური ბრძოლა იყო. ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელს დადებითი ბალანსი აქვს ამ მეტოქესთან შეხვედრებში, მაგრამ ამჯერად მაკინროი ძლიერად თამაშობდა — 7:6, 6:4, 6:4.

უიმბლდონის რეკორდის დამყარების შანსი ჰქონდა 39 წლის ამერიკელ ქალს ბილი ჯინ კინგს, რომელიც სხვადასხვა თანრიგში ჩემპიონის 20 ტიტულის მფლობელია. ამჯერად იგი შერეულ წყვილთა ფინალში თანამემამულე ს. დენტონთან ერთად გამოდიოდა, მაგრამ გამარჯვება ინგლისელ ჯ. ლოიდსა და ავსტრალიელ უ. ტერნბალს დარჩა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოზარდთა ასპარეზობამ, სადაც გაიმარჯვეს შვედმა ჭაბუკმა ს. ედბერგმა და ფრანგმა ქალიშვილმა პ. პარადიზმა. სხვათა შორის, ორივე უძლიერესი იყო საფრანგეთის ღია ჩემპიონატშიც.

საბჭოთა სპორტსმენთაგან 16 წლის ლვოველი ლარისა სავჩენკო 8 უძლიერესს შორის მოხვდა, წყვილთა თანრიგში კი იგი ფრანგ პ. ჰერემანთან ერთად ნახევარფინალში გავიდა.

# სპორტის სასახლის რინგზე

**დღეს** სპორტის სასახლის რინგზე დაიწყება ჭაბუკ მოკრივეთა თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 1965-66 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობენ. მაყურებელი სარბიელზე იხილავს რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ავღანეთის, აგრეთვე სსრ კავშირის, ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების, „ბურევესტნიკისა“ და საქართველოს ახალგაზრდა ოსტატთა ნაკრები გუნდების გამოსვლას.



# „შავი ჯიქი“

**საფრანგეთი** ომამდე განთქმული იყო თავისი ჩოგბურთელებით, მაგრამ შემდეგ სპორტის ეს სახეობა ამ ქვეყანაში როგორღაც ჩამორჩა. მომძლავრდნენ ჯერ ავსტრალიელი, შემდეგ კი ამერიკელი და შვედი ოსტატები, ფრანგებს არავინ ჰყავდათ, მათთვის რომ დაეპირისპირებინათ. ყველაზე საწყენი მაინც საკუთარ მოედნებზე, „როლან გაროს“ ტურნირზე (საფრანგეთის ღია ჩემპიონატი) სისტემატური დამარცხება იყო.

ახლა ფრანგებისთვის ეს უსიამო ტრადიცია დაირღვა. უფრო მეტიც, ამ ქვეყნის ჩოგბურთის მესვეურები მიიჩნევენ, რომ იანიკ ნოას სახით ისეთი ოსტატი ჰყავთ, რომელიც მსოფლიოში არავის უდებს ტოლს.

იანიკ ნოა დაიბადა 1960 წელს სედანში (საფრანგეთი). მამა კამერუნელი ფეხბურთელი იყო, რომელიც ადგილობრივ, საკმაოდ ცნობილ კლუბ „სელანში“ თამაშობდა, დედა — ფრანგი. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელის კარიერა დაამთავრა, ზაქარია ნოა ოჯახითურთ კამერუნში დაბრუნდა, სადაც მისმა პატარა ვაჟმა ჩოგბურთის თამაში დაიწყო. შემდეგში იანიკ ნოა სწავლობდა ნიცის ჩოგბურთის სკოლაში, თუმცა დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, ამ სახეობისთვის მოეკიდა ხელი, თუ კალათბურთისთვის. საქმე ის არის, რომ იგი 192 სმ სიმაღლისაა. ბოლოს მაინც ჩოგბურთმა გადასძლია.

შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული, ნოა თანდათან დაწინაურდა და ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ჩოგბურთელი გახდა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მას ნამდვილი ვარსკვლავის ყველა მონაცემი აქვს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნოას მატჩებმა მოსკოვში, დევისის თასზე. მისი ნამდვილი ტრიუმფი კი მაინც წელს „როლან გაროს“ მოგება იყო, როცა მან ფინალში ახალ შვედ ვარსკვლავს მატს ვილანდერს სძლია. საინტერესოა ისიც, რომ ამ ტურნირამდე ვილანდერი იმარჯვებდა ყველგან, სადაც კი თამაშობდა და „როლან გაროს“ უდავო ფავორიტადაც ითვლებოდა.

ბიორნ ბორგი, რომელსაც წლების განმავლობაში კორტებზე ბადალი არ ჰყავდა, ახლა ცოტას თამაშობს არაოფიციალურ შეჯიბრებებში, უფრო ხშირად კი სხვადასხვა დიდი ტურნირების კომენტატორია. პარიზში იგი ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის მიმომხილველი იყო და ვილანდეროას ფინალური შეხვედრის წინ მორიდებული პროგნოზი გამოთქვა: „ძნელ, ხუთსეტიან მატჩში შვედი გაიმარჯვებსო“. შემდეგში ბორგმა აღიარა, რომ შეცდა. მარტო მან კი არა, ვილანდერმაც ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფრანგ ჩოგბურთელს გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა (გავიხსენოთ ანგარიშიც — 6:2, 7:5, 7:6).

ერთი სიტყვით, ფრანგმა გულშემატკივრებმა ახალ ვარსკვლავს „შავი ჯიქი“ შეარქვეს და მასზე შემდეგშიც დიდ იმედებს ამყარებენ.

ვ. თხინვალელი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 06392